საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №38/ნ
2023 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 13/01/2017; სარეგისტრაციო კოდი: 430050000.22.022.017259) დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ მე-3 მუხლის 5^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5^1. ამ მუხლით დადგენილ ეტაპებზე რეგისტრაცია შესაძლებელია იმ მოსწავლისთვის, რომელიც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყებისას აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით და მისი ასაკი არ აღემატება 10 წელს.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **გიორგი ამილახვარი**